წელიწადი პირველი.

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

თფილისი.

რედაქციის მისამართი:
თფილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები: საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

ხუთშაბათი, 3 მარტი, 1921 წ.

№ 2 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თფილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის რევკომის განცხადება

1921 წ. მარტის 2-ს

1. ჯარის ნაწილები ხშირად მიმართავენ თბილისის რევკომს საკანცელარიო ხელსაწყობისთვის. რევკომი სთხოვს ასეთი თხოვნებით მიმართონ ხოლმე მე-11 არმიის ჩუსნაზარმს, სასახლეში № 6.

2. რევკომი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ყოველ სახელმწიფო საზოგადოებრივ დაწესებულებათა უადგილოთ დარჩენილმა მოსამსახურეებმა უნდა მიმართონ ადგილის მისაღებად ძველ დაწესებულებათა მაგიერ შემდგარ ახალ დაწესებულებებს.

3. პროვოკაციულ ხმების უარსაყოფად ქალაქ თფილისის ყველა დაწესებულებათა საყურადღებოთ რევკომი აცხადებს, რომ საქმის წარმოება შემდეგშიაც უნდა სწარმოებდეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე.

ყურადღება პროფესიონალურ კავშირებში!

პროფესიონალური კავშირები—მუშათან ყველაზე უფრო ახლოს მდგომი—მათი კლასიური ორგანიზაციებია. ჩვეულად ყოვლისა,—აქ იყრის თავს მუშათა კლასი. ამ კავშირებში ირაზმება იგი. პროლეტარიატის კეთილდღეობას თუ უბედურობას ყველაზე ადრე კავშირები უღებენ ალღოს. პროფესიონალური კავშირები—მუშათა კლასის საერთო, გაუყოფელი ოჯახია, სადაც იგი დაურიდებლად, დაუფარავად პარაკობს თავის სადღეისო, თუ სახვალიო ინტერესებზე: ლუკმა პურზე, [illegible]

მაგრამ მუშათა კლასს,—ძლიერი პროფ. კავშირები უნდა ჰყავდეს! ამ მხრივ საქართველოში, კერძოდ თფილისში საქმე ამდენ ხანს მეტად უწყვეტ მდგომარეობაში იყო. ყოფილმა მთავრობამ უმაგალითო რეპრესიებით: დაპატიმრებით თუ გადასახლებით—დაანგრია, დაარბია ყველა რევოლიუციონური პროფ. კავშირები. იგი მორიდებია არავითარ მსხვერპლს არავითარ საშუალებას, რათა თავისი მიზანი: რევოლიუციონური, კომუნისტური პროფ. კავშირები, როგორიც ჩვენ დიდი უმრავლესობა თფილისის პროფ. კავშირთა—დაენგრია და მათ ნაცვლად დაეარსებინა თავისი მონა-მორჩილი ელემენტებისაგან შემდგარი „კავშირები". მენშევიკების დიქტატორულმა ზომებმა ამ მხრივ ნაყოფი გამოიღო. თითქმის ყველა რევოლიუციონური პროფ. კავშირები—დანგრეული და განადგურებული აღმოჩნდა. მათ ადგილს მენშევიკებმა დაანშნეს თავისი აგენტების „კავშირები". მაგრამ რადგანაც მუშებს ულაც არ ეპრიანებოდათ ეს არა მუშათა ბატონ-პატრონების „მეთაურობა", რომ ისინი (მუშები) სრულიად ჩამოშორდნენ პროფესიონალურ კავშირებს. ეს უკანასკნელნი საუკუნეებით მოწყდნენ მუშათა მასებს და თუ არსებობდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს უნდა გაბატონებულ პარტიას და იმდენათ, რამდენათაც ისინი ატარებდნენ მთავრობიდან თავისი დანიშნულების „იარლიკს". ამ რიგათ ვიმეორებთ, მენშევიკების ბატონობის დროში, თფილისის პროლეტარიატს უდიდ უმრავლესობას, ფაქტიურად არ ჰყავდა თავისი პროფესიონალური კავშირები—რომელიც გაუწევდა ანგარიშს მის მდგომარეობას, რომელიც ხელმძღვანელი იქნებოდა მისი. თფილისის პროლეტარიატის ტრაღედია—სხვათა შორის—აქ ნახულობდა თავის დასაბამს. იგი უთავო იყო და მთავრობას ორგანიზაციულად, შემუშავებული გეგმით წარმოებულ წინააღმდეგობას ვერ უწევდა. და ასე იყო არა მარტო თფილისში, არამედ საქართველოს ყველა კუთხეებში. მარტო ხაშურის და სამტრედიის რკინის გზელთა მუშების გაფიცვები—რათ ღირს. [illegible] პროფესიონალურად სრულიად მოუწყობელი, ორგანიზაციულად მოუმზადებელი შეხვდა თფილისის პროლეტარიატი ახალ გადატრიალებას. ასეთი მდგომარეობა კი ვერ გაგრძელდება. საქართველოს კომუნისტურ პარტიამ, მთავრობის სათანადო უწყებებმა და „ძველი მენშევიკების მიერ „დერჟიმორდულათ" დანგრეულ რევ. პროფესიონალურ კავშირების მეთაურებმა—საჩქაროთ უნდა შეუდგნენ ამ საქმის მოგვარებას, თფილისის მუშათა კლასის ამ ავადმყოფობის განკურნვას. ეს საქმე დაყოვნებას არ ითმენს.

კომუნისტური აღმშენებლობაში პროფკავშირებს დიდი როლის თამაში შეუძლიათ. თბილისის რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა თავისი რევოლიუციონური პროფ-კავშირები უნდა გაიჩინოს.

დღეს ამ მუშაობაში არავინ ხელს არ დაგვიშლის. პირიქით, დახმარება გვექნება ყოველ მხრივ. მაშ მხნედ და საწრაფოდ შეუდგით ამ მეტად თვალსაჩინო, საჭირო და პასუხსაგებ საქმეს თბილისის პროლეტარიატის რევოლიუციონური პროფ-კავშირებში ორგანიზაციულად შეკრებას, დარაზმვას. ვიმეორებთ: ეს საქმე დაყოვნებას არ ითმენს. პირველი შესავალი ნაბიჯები უკვე გადადგმულია (26 თებერვალს მომხდარი თფილისის პროფ-კავშირთა წევრთა საერთო კრება და მისი რეზოლიუცია), უნდა გადიდგას შემდეგი, პრაქტიკულად და ორგანიზაციულად ჩამოყალიბების ნაბიჯები.

ეს მუშაობა დღის წესრიგის ერთერთ უახლოეს და უმნიშვნელოვანეს საქმეთ უნდა დავსვათ.

ეს მუშაობა—დამკვრელ მუშაობათ უნდა დავისახოთ.

საბჭოთა რეჟიმი და ინტელიგენცია

საკითხი საბჭოთა მთავრობისა და ინტელიგენციის ურთიერთშორის დამოკიდებულების შესახებ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო რუსეთში განსაკუთრებით უკანასკნელი ორი წლის წინეთ.

საბჭოთა მთავრობა—ეს მუშათა კლასის, მის მისწრაფებათა აღმასრულებელი ორგანოა. იმის დანიშნულებაა, მუდამ გაშიშვლებული მკვეთრი ხმლით ხელში კვალდაკვალ მისდიოს დამარცხებულ, მაგრამ არა სრულიად იარაღ აყრილ ბურჟუაზიას და იმავე დროს გამაერთიანებელ და ხელმძღვანელ ორგანოდ იქცეს ახალ ეკონომიურ ურთიერთობათა აღმშენებლობაში.

შეურყევლათ დამდგარს ამ გზაზე, მას ყავს თავის პირდაპირ არა მარტო ბურჟუაზია, როგორც ეკონომიური კატეგორია, არამედ საზოგადოების ის ნაწილიც, რომელიც თავის აღზრდით, ჩვეულებებით და მიდრეკილებებით იმყოფება ამ ბურჟუაზიის იდეოლოგიის გავლენის ქვეშ, როგორც მისგან ეკონომიურათ უფრო დამოკიდებული და ხშირად მისი მონა-მორჩილი ნაწილი. რა გასაკვირია ამიტომ, თუ ბრძოლა ორ სოციალურ ანტიპოდებს შორის ძალაუნებურად ითრევს თავის მსვლელობით, საზოგადოთ ინტელიგენციასაც, ყველა ეგრედ წოდებულ „სპეცებს" (სპეციალისტებს), რომლებიც მატარებელნი არიან გარკვეული ხელობის.

ბრძოლის სიმწვავემ, რომელიც დამახასიათებელი იყო ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, ბუნებრივი აუცილებლობით, თავის გამოძახილი ჰპოვა ამ ინტელიგენციაშიაც და დასაწყისი მისცა „საბოტაჟნიკების" მოძრაობას მუშურ-გლეხური მთავრობის წინააღმდეგ. ამიერიდან ეს ინტელიგენცია ელიმართა რევოლიუციის წინ, როგორც არსებითად კონტრ რევოლიუციონური ძალა და, როგორც ასეთმა, თავზე დაიტეხა კანონიერი რისხვა საბჭოთა მთავრობისა. ამ უკანასკნელმა გარემოებამ მისცა [illegible] კვები მასალა ჩვენი მოწინააღმდეგეების დემაგოგიას ჩვენი მტრული განწყობილების შესახებ საზოგადოთ ინტელიგენციისადმი. სხვა ჭორებთან და ზღაპრებთან, რომლებსაც ასეთი უხვი ხელით აბნევდენ მენშევიკები ჩვენ შესახებ საქართველოში, „საპატიო" ადგილი ეჭირა ამ დემაგოგიასაც. მათ ყურები გამოუჭედეს ჩვენ საზოგადოებას, რომ ბოლშევიკები დაუნდობელი მტრები არიან ინტელიგენციის, რომ წაქეზებული „შავი მუშური ბრბოების" მიერ, საბჭოთა მთავრობა სდევნის, აწიოკებს ყოველივე მას, რაც კი ბრწყინვალე რამ აბადია ჩვენი დროის სულიერ და მატერიალურ კულტურას. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ამ მსგავს ლათაიებით გაბრუებული საზოგადოებრივი აზრი ჩქარა გაიფანტება ისევე, როგორც ეს დაემართა მათი გაზეთების მიერ მუდამ და განსაკუთრებით უკანასკნელ დღეებში გავრცელებულ ლეგენდებს საბჭოთა ჯარების სიმხეცის და მათი ბარბაროსობის შესახებ.

ძველი ეკონომიური სისტემის ნგრევაში და ახლის შენებაში, რომლის მესვეურათ გამოდის პროლეტარიატი თავის საბჭოთა მთავრობით, ის გვერდს ვერ აუხვევს გამოცდილ, შრომის უნარით დაჯილდოებულ ინტელიგენციას. ეს ითქმის უფრო მეტი საბუთით სოციალისტური რევოლიუციის გავლენის ქვეშ მოხვედრილ ისეთ შედარებით განუვითარებელ ქვეყნებზე, როგორც არის რუსეთი და უფრო კი ჩვენი ქვეყანა, რომლებიც ასე ჩამორჩენილნი არიან დიდი კაპიტალისტური ქვეყნების კულტურისაგან საზოგადოთ თავისი ინტელიგენციის რაოდენობით და მით უმეტეს იმ ინტელიგენტურ ჯგუფების სიცოტავით, რომლებიც თანამგრძნობნი არიან მუშათა კლასთან ან გამომხატველნი მისი იდეოლოგიის. ამიტომ იმ სოციალურ გარემოებაში, რომლებშიაც უხდება წარმოება პროლეტარულ რევოლიუციას შედარებით ჩამორჩენილ ქვეყნებში მით უმეტეს არ შეიძლება,—როგორც არ შეიძლება ეს მოწინავე ქვეყნებშიაც—გვერდი აუხვიოთ ჩვენ ახალ წყობილების აღმშენებლობის დროს იმ „სპეცებს" და საზოგადოთ, იმ ინტელიგენციას, რომლის პირისპირ დაგვაყენებს ჩვენ მუშათა რევოლიუცია. საქმე, ჩვენ მიერ დაწყებული, იმდენათ განუზომელია, გარდატეხა იმდენათ ფართო და რადიკალური, რომ ჩვენთვის უდიდესად მნიშვნელოვანია ყოველი მცირე ინტელიგენტურ-ტეხნიკური ძალა, რომელსაც ახალი ცხოვრების აღშენებლობაში რაიმე წვლილის შეტანა შეუძლია. ყველა ამით აიხსნება ის სიფრთხილე და მოკრძალებით კეთილგანწყობილებითი მოპყრობა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ინტელიგენციისადმი რუსეთში და რაც უნდა განმეორდეს საქართველოშიაც.

ბურჟუაზიული ინტელიგენციის იმ ნაწილმა, რომელიც აქტიურათ მხარს უჭერდა თავის კლასს რუსეთში, დაინახა რა მუშური მთავრობის თანდათანი გამაგრება, თავი მიანება აჯანყებებს და საბოტაჟს, რომლითაც ის აკეთებდა შავი რეაქციის საქმეს, და დაუბრუნდა თავის ხელობას საბჭოთა სახელმწიფოს სამსახურში. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ სწორეთ მუშათა რევოლიუციის ძლევამოსილ მსვლელობის გამო ინტელიგენციის ეს ნაწილი მიატოვებს ჩვენშიაც ამ უიმედო რეაქციონურ ჩხირკედელაობას და ეგრეთ წოდებულ ნეიტრალურ [illegible] ინტელიგენციასთან ერთად შეიქნება ჩვენ თვალწინ მიმდინარე დიდი საქმის მუშაკათ. ამხანაგური და კეთილ განწყობილებით აღსავსე მოპყრობა იმათადმი, ვინც ნებაყოფლობით იცნობს და მხარში ამოუდგება საბჭოთა სახელმწიფოს, ხოლო მუდამ თვალმოუშორებელი სიფრთხილე და სიფხიზლე მათ მიმართ, ვინც კაციჭამია შოვინისტურ და რეაქციონური ზრახვებით აღსავსე გულით და საეჭვო მეგობრული ღიმილით მიეშურება დღეს სახელმწიფო ადგილის დასაკავებლათ—ასეთი უნდა იყოს საბჭოთა სახელმწიფოს დამოკიდებულება ინტელიგენციასთან ჩვენ ქვეყანაშიაც.

ნ. კრედო.

ადგილობრივი პრესა

საქართველოს სოც. ფედერალისტთა დროებით მთავარ კომიტეტის ორგანო „სოციალისტ ფედერალისტი" მე-3 ნომერში, შემდეგ მოწინავეს ათავსებს. მოგვყავს იგი სრულიად.

„მენშევიკების ცდა, რომ საქართველო გაეთიშა მსოფლიო რევოლიუციისაგან, დამარცხდა. ქართველ მშრომელ ხალხს სათავეში ჩაუდგა შეურიგებელი მტერი ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური რეჟიმისა. ამ ახალ ძალას ახასიათებს გარკვეული, პირდაპირი ხაზი და მტკიცე ნებისყოფა, ურყეველი რწმენა გამარჯვებისა. დღემდის არსებული ლოზუნგი „არც აქეთ, არც იქით" ადგილს უთმობს ახალ მოწოდებას, ახალ ყიჟინას: „წინ, სოციალიზმისაკენ"! ეს დიადი ლოზუნგი არ არის უცნობი ჩვენი მშრომელი ხალხისათვის. საქართველო ეხლა არ გაწითლებულა ამა თუ იმ მოსაზრებით; ის ცარიზმის დროსაც წითელი დროშის მატარებელი იყო და ეხლა უფრო მაღლა აწევს მას, უფრო გაბედულად წავა წინ აღთქმის ქვეყნისაკენ.

დიდი საქმე, დიდი მიზანი დიდ მსხვერპლს მოითხოვს. ძველი ქვეყნის დანგრევა და ახალის აშენება ადვილი არავის ეგონოს. ეს ხანგრძლივი პროცესის საქმეა და ვინც ამ პროცესში ჩაერევა, კარგად უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული ყოველივე სიძნელე, [illegible] ქართველმა მშრომელმა ხალხმა კარგად უნდა შეიგნოს, რომ ის ებმება მეტად მძიმე საქმეში, რომ მას მოელის ბევრი გასაჭირი და ბევრი განსაცდელი. მაგრამ ის შეგნებულად, უშიშრად უნდა შეუდგეს ახალი ქვეყნის შენებას და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს ყველას, ვინც ამაში მას ხელს შეუშლის.

მაშ შორს ყოველგვარი იჭვები და რყევა! ნუ შეგვაშინებს ნურავითარი გასაჭირი; მხნედ შეუდგეთ ბრძოლას და შრომას".

აქ თითქმის ყველაფერი გარკვეულათაა ნათქვამი. „სოციალისტ ფედერალისტი" ჩვენ გვერდში დგება, ჩვენი პარტიის ძნელ ტვირთის ზიდვაში შრომის განაწილებას გვპირდება, ჩვენ გვგონია, რომ ეს სიტყვები მარტო სიტყვებათ არ დარჩება; ჩვენ გვგონია, რომ „სოციალისტ-ფედერალისტის ხელმძღვანელნი ამას საქმეში და საქმით დაამტკიცებენ. ჩვენთვის ეს გასახარი იქნება!

საბჭოთა რუსეთის პრესა

მცირე ანტანტა და თეთრი ტერორი ჩეხო სლოვაკიაში.

ჩეხო-სლოვაკიაში მძვინვარებს თეთრი ტერორი. ეჭვი არ არის, რომ დასავლეთის და შუა ევროპის ბურჟუაზიის გამოლაშქრების გეგმა კომუნისტურ პროლეტარიატის წინააღმდეგ შემუშავებულია პარიზში, საიდანაც აგრეთვე სწარმოებს მთავარი ბრძოლა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. საფრანგეთის თაოსნობით შუა-ევროპაში მცირე ანტანტის შენება დაიწყო უმთავრესათ ავსტრო-უნგრეთის ნანგრევებზე აღმოცენებულ სახელმწიფოთაგან. პარიზის მოწოდებას პირველათ გამოეხმაურა ჩეხო-სლოვაკიის „დემოკრატიული" რესპუბლიკა [illegible] მიიმხრო სამხრეთ-სლავია და რუმინია.

— მცირე ანტანტის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ [illegible] თავის ქვეყნის პროლეტარიატთა შორის ბოლშევიკური მოძრაობა და შემდეგ დაიწყოს [illegible] რუსეთში. ამ ჟამად მცირე ანტანტა ანხორციელებს პარიზის გეგმის პირველ ნახევარს.

— კომუნისტურ პროლეტარიატის წინააღმდეგ გალაშქრების ხელმძღვანელობა მცირე-ანტანტის სახელმწიფოებში თავს იდვეს ბურჟუაზიის გამოცდილმა ლაქიებმა—მე-2 ინტერნაციონალის მენშევიკებმა. და რადგანაც ამ გამცემლებმა, მუშათა წრეებიდან წამოსულებმა, იციან პროლეტარიატის სუსტი ადგილები, ამიტომ მათ მინდობილი აქვთ მცირე-ანტანტის პროლეტარიატის გაწმენდა ბოლშევიკური სენისგან.

— და რომ ეს ასეა, სჩანს იმ საშინელ თეთრ ტერორიდან, რომელიც [illegible] მცირე ანტანტის [illegible] კომუნისტ მუშათა [illegible]

— წარსულ წლის ოქტომბერში, როდესაც გამოირკვა კომუნისტურ მოძრაობის თავზარ დამცემი ზრდა, მენშევიკური მთავრობა გადასდგა, რათა თავის ადგილზე წამოესკუპა მათი გამგონე ბიუროკრატების მთავრობა. ასეთ მოხელეთაგან შემდგარ მთავრობის მიზანი იყო,—როგორც უნებლიეთ გამოტყდა მენშევიკების ერთი ბელადთაგანი, სენატორი სვეცენი, რაიმე ნაირათ დაემარცხებინათ და დაემხოთ კომუნისტები. საქმე დაიწყო ყოველდღიურ გამოცემათა კონფისკაციებით. ქაღალდის მიცემაზე უარი უთხრეს. რეპრესიების ნება დართო „გუმანისტმა" პრეზიდენტ მასსარიკმა.

— გაზეთ „აზ ესტ"-ის ერთ კორესპონდენტთან საუბრის დროს მასსარიკმა ნათლათ გამოსთქვა აზრი ბოლშევიკურ აგიტაციის წინააღმდეგ და დაუმატა: „ევროპა ფიქრობს, რომ უნდა დაიწყოს ძლიერი ხელის პოლიტიკაო" ნამდვილათ, ამ „ძლიერი ხელისთვის" მენშევიკებმა პარლამენტში დააკანონეს მილიარდის დამატებითი ბიუჯეტი ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ თავდაცვის სამინისტროსთვის. ყველა თავდასხმები ქარის ნაბიჯით სწარმოებდა. ამისთვის საბაბი ძალე გამოინახა.

— კომუნისტებმა გაილაშქრეს საერთო გაფიცვით, რის გამოც ბურჟუაზია, რომელსაც მენშევიკები ხელმძღვანელობდნენ, სახელმწიფოს აპარატის მთელი ძლიერებით კომუნისტ მუშებს თავს დაატყდა. ჟანდარმერია, პოლიცია, მთავრობის ერთგული, ლეგიონერთა ნაწილი, შეიარაღებული „სოკოლები", მუშტების კავშირები, კლერიკალური ორგანიზაციები, ყველა ეროვნების იუნკერთა და სტუდენტთა ბრბოები ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა შეერთდნენ ერთ განუწყვეტელ თეთრ-გვარდიელების ჯაჭვათ, რომელმაც დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ და სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ გაიარა მთელი ეს მხარე, გზაზე აპატიმრებდა და ხვრეტდა ყოველ დედაკაცთ, ორივე სქესის შემთხვევით გამვლელთ და არ იბრალებდა ბავშვებსაც კი.

— „გუმანისტ" მასსარიკმა ასეთი [illegible] გამკლავება დააკანონა და ხელი მოაწერა მთელ მხარეში საალყო წესების შემოღების კანონზე. მენშევიკურ „დემოკრატებმა" რასაკვირველია პარლამენტში მოიწონეს თავის მთავრობის წარმომადგენელთა ასეთი გამკლავება კომუნისტებზე. მოწინავე მუშა კომუნისტები სამი ათასზე მეტი ჩაყრილია ციხეში, ათასობით დახვრეტილი და ასობით დაჭრილ-დასახიჩრებული. მენშევიკური გამცემლები მთელ მხარეში ეხლაც ხელმძღვანელობენ „განწმენდას", ისინი დგენენ იმ პირთა სიებს, ვინც უნდა დააპატიმრონ, ვის სცემონ, ვინ დახვრეტონ; ისინი აყენებენ კომუნისტ-დეპუტატების გაცემის საკითხს, მათივე თაოსნობით კრებები და დემონსტრაციები იდევნება, გაფიცულთ ხვრეტენ, კომუნისტურ გაზეთების გამოცემას უკრძალავენ, გაჩაღებულია შხამი კომუნისტების წინააღმდეგ საზოგადოთ და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ კერძოთ.

— მთავრობა სცემს კანონს, რომლის თანახმად „მეამბოხეებს" გაასამართლებენ საგანგებო სასამართლოს სენატები, რომელშიც შესძლებენ გაანხორციელონ ბურჟუაზიის გოდება სიკვდილის დასჯის განაჩენთა სისრულეში მოყვანის შესახებ მუშათა მიმართ!...

— დაჭრილთა და დაპატიმრებულთა შორის ასზე მეტი ლეგიონერია, რომელიც მოტყუებული როდესღაც, იბრძოდენ ჩვენს წინააღმდეგ.

— არაფერს არ ძალუძს გარდატეხვა ჩეხო-სლოვაკიაში კომუნისტურ მუშებისა: არც დახვრეტას მსჭდომარე ტყვიებით „დუმ-დუმ", არც დაპატიმრებას, არც ცემა-ტყეპას და არც ახლანდელ ფაბრიკანტების ლოკაუტებს.

— მეორე ინტერნაციონალი—ეს ჟანდარმული ინტერნაციონალია! აი რას ამბობენ არამც თუ ბელადები, არამედ ჯარის კაცათ გაყვანილი თვით მუშა კომუნისტები ჩეხო-სლოვაკიაში.

— აი შედეგი მცირე ანტანტის პროლეტარიატზე ბურჟუაზიის იმ თავდასხმისა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჟანდარმული ინტერნაციონალი ჩეხოსლოვაკიაში.

— კომუნისტურმა ინტერნაციონალმა უნდა მოუწოდოს ყველა თავის შვილებს მცირე ანტანტის, განსაკუთრებით ჩეხო-სლოვაკიის მუშათა გასამაგრებლათ.

იაროსლავ ხალატ.

(ცენ. აღმ. კომ. „იზვესტია" № 26).

საბჭოთა მთავრობა და ბავშვები

21-დან 28 ნოემბრამდის „სოვნარკომის მიერ დანიშნული იყო „ბავშთა კვირა". ს. რ. ც. ა. კ. დადგენილებით წინადადება მიეცა ადგილობრივ ორგანოებს ენერგიულათ მიეყოთ ხელი ამ სიქმისათვის, გადაელახათ ყველა დაბრკოლებანი და აღმოეჩინათ ყოველგვარი დახმარება.

შვილებათ კი არა, გერებით იყო მოზარდი თაობა ძველ დროს; ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვი ტანჯვას განიცდიდა, კაპიტალის ექსპლოატაციისაგან მის დედაზე, დაბადებულს, უკვე ავადმყოფ ბავშვს უდარაჯებდა სიკვდილის შავი აჩრდილი. ნახევარზე მეტი ბავშვებისა ვერ სცოცხლობდა ერთ წლამდე. ესალმებოდენ სიცოცხლეს დედების გვერდით უყოლობის გამო, რომელნიც მუშაობას თავს ვერ ანებებდენ. ილუპებოდენ სახელ განთქმულ „ქუჩების" და „სოსკების" მეოხეიით, გადამდებ სნეულებებით.

ი ბედნიერნი რომელთაც ეღირსებოდათ 10 15 წ-დე მიღწევა, ახალი ტანჯვა ელობებოდათ წინ. თავისი ნორჩი და სალი ორგანიზმი ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობით უნდა ჩაეკლათ, 18 წლის იგი უკვე წააგავდა „ახალგაზრდა მოხუცს". ქალაქის მუშა გამხდარი, მილეული თვალებით, ნაადრევ დაღით სახეზე, ავადმყოფი და მუდამ დარდიანი იყო.

საბჭოთა მმართველობამ გადალახა ყველა დაბრკოლებანი და უკვე ბევრი რამ გააკეთა ბავშვთა დაცვისათვის. ფეხმძიმეთ მყოფთ მიეცათ უფლება მშობიარობამდის 6 კვირის წინ და მის შემდეგ 6 კვირით მუშაობისაგან თავისუფლდება, მათ ყოველგვარი დახმარება ეძლევათ სურსათის, ბინის და სხვ მხრივ. ის დედები, რომელნიც ძუძუს აწოვებენ ბავშვთ წლის შესრულებამდე სამსახურიდან თავისუფლდებიან, რათა შეძლება ჰქონდეთ ბავშვს ძუძუ აწოვონ. მთელ რუსეთში არსებობს ბავშვთა და დედობათა დაწესებულებანი. არის ცნობები ცენტრში რომ უკვე არსებობს 123 თავშესაფარი ძუძუმწოვართა და მცირე წლოვანთათვის, 151 „იასლი", 100 კონსულტაცია, დედების 30 სახლი და სხვა.

ბავშვები 16 წლამდე წარმოებაზე არ დაიშვებიან. 14—16 წლამდე იგინი მუშაობენ 4 საათს, 16—18-დე კი 6 საათს. შემოღებულია სავალდებულო სწავლა-განათლება, მიქცეულია ყურადღება ფიზიკურათ განვითარებაზე და სხ. ბევრი ამ დარგში უკვე გაკეთებულია და კიდევ ბევრის გაკეთებაა საჭირო. სამი წლის განმავლობაში ომის ქარცეცხლში მყოფი რუსეთი, გარეშე მტრებთან ბრძოლამ, რომელნიც გარშემოერტყენ მას, ვერ მისცა შეძლება რომ ბავშვებისთვის მეტი ყურადღება მიექციათ.

12 ოქტომბერს გამოცემული დეკრეტით სოვნარკომი მოუწოდებს ყველას რომ მუშაობა ამ დარგში განვითარებულ იქნას. ყველა ძალები. შეკრებილი უნდა იყოს, რათა ყოველმხრივი დახმარება, აღმოუჩინოთ ბავშვებს. მიექციოს ყურადღება შვილებს და იმ დაწესებულებებს სადაც ბავშვობა იმყოფება; სურსათით და პირველ მოთხოვნილების საგნებით დაკმაყოფილება აგრეთვე გაწეულ უნდა იქნეს აგიტაცია და პროპაგანდა იდეებისა ბავშვთა აღზრდის და მათი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. ფართო მშრომელმა მასსამ უნდა მიაქციოს ამას ყურადღება. ეს—პირველი ამოცანაა. შემდგომ ამისა დათვალიერებულ უნდა იქნას ყველა არსებული დაწესებულებანი და დაყენებულ იქნეს სათანადო სიმაღლეზე მომარაგებულ უნდა იქნენ სურსათით და ყველა საჭირო საგნებით—აი მეორე ამოცანა. ამ დარგში მოინაწილე ორგანიზაციით მუშაობის [illegible] გათვალისწინდეს [illegible] მოადგინდეს. ზოგ ადგილას არსებობს ბავშვთა საავათმყოფოები, ზოგ ადგილას დედობის დაცვის დაწესებულებანი და ბავშვთა კოლონიები. ეს მუშაობის გეგმა გათვალისწინებული უნდა იქნას და ვისწრაფოდეთ, რომ ყველა მოთხოვნილებანი დედობის და ბავშობის დაცვის საქმეში დაკმაყოფილებულ იქნას—აი მესამე ამოცანა.

დაბოლოს ამ „კვირაში", დაარსდეს ახალი „იასლები" ბავშთათვის თავშესაფარნი, კოლონიები, სკოლები და სხ. ამგვარი დაწესებულებანი, ყველა ეს მშრომელ მასსის ხელის შეწყობით. ეს მეოთხე ამოცანაა.

ადგილობრივ პირობების გამო, სხვა მოთხოვნილებანიც დაიბადებიან, დროთა ვითარება თვით მიგვიყვანს ამ საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლათ. ყველა ორგანოებმა უნდა მიაქციონ ამას ყურადღება, როგორიც არის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებანი, სასურსათონი, მომარაგებისა და სხვანი.

დრო ცოტაა დარჩენილი, უნდა მეტის ენერგიით მეტად სწრაფად წარმოებდეს საქმე. გვახსოვდეს რომ ყველაფერი დამოკიდებულია მომავალზე.

(„იზვესტია" № 215).

საბჭოთა საქართველოში.

ბრძოლა ცარცვა-გლეჯასთან.

საგანგებო რკინის გზის კომისია იუწყება: 25, 26 და 27 თებერვლის განმავლობაში მძარცველებმა ისარგებლეს რა მით, რომ საბჭოთა ძალა-უფლება ჯერ კიდევ ორგანიზაციის და გამაგრების ხანაში იყო, ნივთების და სასურსათო საწყობებს სძარცვავდნენ რკინის გზის ლიანდაგის და მე 10, მე 11, მე-12 კომისარიატების რაიონებში. მძარცველთა ჯგუფი შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდა წესრიგის დამცველთ. რკინის გზის რაიონში ნივთეულობის საწყობების გარდა გაძარცული იქნენ აგრეთვე ფეხსაცმელების საწყობებიც. 27 თებერვლის ცარცვა შეჩერებულ იქმნა საგანგებო კომისიის ბრძანებით და საწყობებთან დაყენებულ იქმნა მძლავრი დამცველი რაზმი. რკინის გზის ადმინისტრაცია შეუდგა რკინის გზასთან მომხდარ ცარცვა გლეჯის გამოკვლევას.

მოწოდება.

გთხოვთ ყველა მუშებს და მოსამსახურეთ, რომელნიც მუშაობთ კონიაკის, არყის, ლუდის ქარხნებში და ღვინის სარდაფებში გამოცხადდეთ რეგისტრაციისთვის „სურსათზე" მომუშავეთა კავშირში, მუშათა სასახლე მე 2 სართული ოთახები №№ 11, 12, 13.

რეგისტრაცია საჭიროა მაგარი სასმელების გაყიდვის აკრძალვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებთან. რეგისტრაცია გაგრძელდება მხოლოდ 3 დღეს 2, 3 და 4 მარტს. „სურსათზე" მომუშავეთა პროფკავშირის გამგეობა.

ოფიცერთა რეგისტრაცია.

1 მარტის დილიდან კომენდანტის სამ-

ლენინი

სიტყვა წარმოთქმული სრულიად რუსეთის მე-VIII ყრილობაზე.

ამხანაგებო! მე უნდა გაგაცნოთ მოხსენება მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე. მე არ მესმის ჩემი მოხსენების მიზანი ისე, რომ ჩამოგითვალოთ თუ გინდ უდიდესი და ფრიად მნიშვნელოვანი კანონ-პროექტები და ღონისძიებანი მუშათა და გლეხთა მთავრობისა, მე მგონია, თქვენთვის აგრეთვე არ იქნება საინტერესო და არსებითი მნიშვნელობის მქონე მოთხრობა ამ ხნის განმავლობაში მომხდარ ამბებისა. მგონია, რომ უნდა შევეცადოთ თავი მოუყაროთ მთავარ გაკვეთილებს, მიღებულთ ამ წლის განმავლობაში, რომელი წელიც არ არის ნაკლებ მდიდარი პოლიტიკის სწრაფი ცვლილებით ვინემ რევოლიუციის წინანდელი წლები. და გაკვეთილების და გამოცდილების განსაზღვრით ბიდან გამოვიყვანოთ გადაუდებელი პოლიტიკური და სამეურნეო მიზნები, რომლებიც ჩვენ წინა სდგანან და რომლებზე საბჭოთა ხელისუფლება, როგორც თავისი კანონ-პროექტებით, შემოტანილია თქვენთვის განსახილველად და დასადასტურებლათ, ისე მთელ რიგ ზომათა საშუალებით, ამყარებს ეხლა ყველაზე მეტ იმედებს, აკუთნებს მათ დიდ მნიშვნელობას და გამოელის მათგან სერიოზულ წარმატებას ჩვენი სამეურნეო აღმშენებლობის საქმეში. ამიტომ ნება მომეცით, მხოლოდ, მოკლედ მოგახსენოთ რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობაზე და მთავარ შედეგებზე გასულ წელში საგარეო პოლიტიკის სფეროში. თქვენ ყველამ იცით, ცხადია, თუ როგორ გვახვევდნენ ჩვენ ომს პოლონეთის მემამულენი და კაპიტალისტები დასავლეთ ევროპის კაპიტალისტების ზეგავლენით და ძალდატანებით, არა ერთი დასავლეთ [illegible] მარტო. თქვენ იცით, თუ ჩვენ [illegible]

ზავი წინადადებას პირობებით, რომელნიც ახლანდელისაზე შეუდარებლივ უფრო სასარგებლო იყვნენ მისთვის, და მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის ზეგავლენით, პოლონეთთან დროებით ზავზე ჩვენი მოლაპარაკების სრული უშედეგობის შემდეგ, ჩვენ იძულებული გავხდით მიგვეღო ომი, რომელიც მიუხედავად დამარცხებისა, ჩვენმა ჯარებმა ვარშავასთან რომ განიცადა, მათი ომით უკვე დაღლილობის გამო, გათავდა ჩვენთვის უფრო სასარგებლო ზავით, ვინემ ის, რომელსაც ჩვენ ვაძლევდით აპრილში. წინასწარი ზავი პოლონეთთან ხელმოწერილია, და ეხლა სწარმოებს მოლაპარაკება საბოლოო ზავის ხელის მოწერაზე, ჩვენ სრულებით არ ვმალავთ იმ საფრთხეს, რომელიც მდგომარეობს ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყნების ძალადატანებაში, ძალადატანებაში რუს თეთრგვარდიელების განსაზღვრულ წრეების იმ მიზნით, რომ ხელი შეგვიშალონ ამ მოლაპარაკების ზავით დამთავრებაში, ანდა შექმნან ნიადაგი და შესაძლებლობა ერთა ლიგის ასამხედრებლად. მაგრამ ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ანტანტის პოლიტიკა, მიმართული სამხედრო ჩარევის და საბჭოთა ხელისუფლების სამხ. დამორჩილებისაკენ, სულ უფრო და უფრო განიცდის მარცხს, და ჩვენ მათ ვაშორებთ სახელმწიფო მეტ რიცხვს, რომელთაც უეჭველად უჭირავთ საბჭოთა ხელის უფლების მიმართ მტრული პლატფორმა, და გადავგვაქვს მშვიდობიანობის პოლიტიკაზე. სახელმწიფოთა რიცხვი, რომელთაც ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას, მატულობს, და არის დიდი შესაძლებლობა, რომ უახლეს მომავალში პოლონეთთან საზავო ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნება.

ამხანაგებო: თქვენ იცით, რასაკვირველია აგრეთვე, რომ დროებითი ჩვე- [illegible]

სიმძიმე ჩვენი მდგომარეობისა ომის ზოგიერთ მომენტებში დამოკიდებული იყო იმაზე, რომ ჩვენ იძულებული ვიყავით გვებრძოლნა ვრანგელის წინააღმდეგ, რომელიც ცნობილი იქნა ერთი იმპერიალისტური სახელმწიფოს მიერ და მიიღო უდიდესი ნივთიერი, სამხედრო და ყოველგვარი დახმარება და ჩვენ იძულებული ვიყავით, რომ ომი დაგვემთავრებია. რაც შეიძლებოდა დაჩქარებით, სასწრაფოდ მოგვეყარა თავი ჯარებისათვის, რომ ვრანგელი საბოლოოდ დაგვემარცხებინა. თქვენ იცით, რასაკვირველია, თუ რა უჩვეულო გმირობა გამოიჩინა წითელმა არმიამ, გადალახა რა ისეთი დაბრკოლებანი და სიმაგრენი, რომელნიც სამხედრო სპეციალისტების და ავტორიტეტების მიერაც მიუვალად იყვნენ მიჩნეულნი. წითელ არმიის ისტორიაში უბრწყინვალესი ფურცელია ის სრული გადამწყვეტი და შესანიშნავი თავისი სისწრაფით გამარჯვება, რომელიც მოპოვებულ იქნა ვრანგელის წინააღმდეგ. ამნაირად ომი, თეთრგვარდიელების და იმპერიალისტების მიერ ჩვენზე მოხვეული, გათავებულ იქნა. ჩვენ ეხლა შეგვიძლია მეტის რწმენით და სიმტკიცით მოვკიდოთ ხელი ჩვენთვის ახლობელ, აუცილებელ და ბევრის ხნიდან მიმზიდველ საქმეს სამეურნეო აღმშენებლობისას, დარწმუნებულებმა, რომ კაპიტალიზმის ბატონები ისე ადვილად, როგორც უწინ, ვერ შესძლებენ ამ მუშაობის ჩაშლას. მაგრამ, იგულისხმება, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია ჩვენი თავი ომისაგან უზრუნველყოფილად ჩავთვალოთ. და ამ გარანტიის არ ქონება იმაში კი არაა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს ფორმალური საზავო ხელშეკრულებანი. ჩვენ მშვენიერად ვიცით, რომ ვრანგელის ლაშქრის დარჩენილი ნაწილი არ არის განადგურებული, არამედ დამალულია არც ისე შორს და იმყოფება მფარველობის და დაცვის ქვეშ. და ძალას იკრებს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა საშუალებით, რომ თეთრ- [illegible]

გაძლიერებით მუშაობენ იმისათვის, რომ შეეცადონ ხელახლა შექმნან ესა თუ ის სამხედრო ნაწილები და იმ ძალებთან ერთად, ვრანგელის განკარგულებაში რომ იმყოფება, სახეირო მომენტში დაეძრან რუსეთის წინააღმდეგ, ამიტომ საომარი მომზადება ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ყოველ შემთხვევაში. არ უნდა დავემყაროთ იმპერიალიზმისათვის უკვე მიყენებულ დამარცხებათ. ჩვენ ჩვენი წითელი ლაშქარი უნდა შევინახოთ, რაც არ უნდა დაგვიჯდეს, და გავაძლიეროთ მისი საომარი უნარი. ამას, რასაკვირველია, ხელს არ შეუშლის არმიის განსაზღვრული ნაწილის განთავისუფლება და მისი სწრაფი დემობილიზაცია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დიდი გამოცდილება, რომელიც მოიპოვეს წითელმა არმიამ და მისმა ხელმძღვანელებმა, დაგვეხმარება ეხლა გავაუმჯობესოთ მისი თვისება. და ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ ლაშქრის შემცირების დროს ჩვენ შევინარჩუნებთ მისი ძირითად ძალას, რომლის შენახვა აუტანელ ტვირთად არ დააწვება რესპუბლიკას, ამავე დროს, არმიის შემცირებული რაოდენობის დროს, უკეთესი ვინემ უწინ, შეიძლება ფეხზე იქნას დაყენებული და შეკრებილი უფრო დიდი სამხედრო ძალა. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველა მეზობელი სახელმწიფონი, რომელთაც ბევრი გამოსცადეს თეთრ გვარდიელ შეთქმულობათა დახმარებისათვის, სხვა და სხვა ანტანტის სახელმწიფოებთან შეთანხმებით საკმაოდ გაითვალისწინეს გამოცდილების შეურყეველი გაკვეთილი და უნდა დარწმუნებული იყვნენ სამი წლის შემდგომ. რომ როდესაც ჩვენ ვიჩენთ მტკიცეს და მშვიდობიან განწყობილებას, ამავე დროს ჩვენ მზად ვართ საომარი მხრით და ყოველ გვარი ცდა ომისა ჩვენს წინააღმდეგ იმ სახელმწიფოთათვის, რომელნიც ჩაერევიან ამ გვარ ომში, ნიშნავდეს იქნებ იმ პირობების გაუმჯობესებას, რომლებსაც ისინი მიიღებენ ომის შემდეგ იმასთან შედარებით, რაც მათ [illegible]

და ომის შემდეგ. ამის წყალობით ჩვენი დამოკიდებულება მეზობელ სახელმწიფოებისადმი განუწყვეტლად უმჯობესდება. თქვენ იცით, რომ საბოლოო ზავი ხელმოწერილია რუსეთის დასავლეთის საზღვრებზე მთელ რიგ სახელმწიფოებთან, რომელნიც უწინ შედიოდნენ ყოფილ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში და საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღიარებულ იქნა მათი დამოუკიდებლობა, მათი სუვერენობა, თანახმად ჩვენი პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა. ზავს ამ საფუძვლებზე აქვს მეტი სიმტკიცე, ვინემ შეიძლება სურთ კაპიტალისტებს და დასავლეთ ევროპის რამოდენიმე სახელმწიფოთ.

ლატვიის სახელმწიფოს შესახებ უნდა ვთქვა, რომ ერთ დროს გვემუქრებოდა თითქო გაუარესება მდგომარეობისა თვით დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტის აზრის წარმოშობამდისაც კი, მაგრამ უკანასკნელი მოხსენება ჩვენი წარმომადგენლისა ლატვიაში გვითითებს იმაზე, რომ უკვე მოხდა ცვლილება, მოშორებულია ბევრი გაუგებრობათაგანი, კანონიერი საბაბნი უკმაყოფილებისათვის. არის სერიოზული იმედი, რომ უახლოეს დროში ჩვენ გვექნება მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა ლატვიასთან, რასაც დასავლეთ ევროპასთან საქონლის გაცვლის დროს, უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის ვინემ მშვიდობიან დამოკიდებულებას ესტონიასა და სხვა აგრეთვე რ. ს. ფ. ს. რ. მოსაზღვრე სახელმწიფოებთან. უნდა ავღნიშნო აგრეთვე, ამხანაგებო, რომ აღმოსავლეთში ჩვენმა პოლიტიკამ დიდი გამარჯვება მოიპოვა — ჩვენ უნდა მივესალმოთ შექმნას და გამტკიცებას ბუხარის, აზერბეიჯანის და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკებისას, რომელთაც აღადგინეს თავისი არა მარტო სრული დამოუკიდებლობა, არამედ ძალა-უფლებაც აიღეს ხელში თვით მუშებმა და გლეხებმა. ისინი არიან დასაბუთება და დასაყრდენობი იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლების იდეები და პრინციპები

მართველოში დაიწყო ოფიცერთა და მოხელეთა რეგისტრაცია, რომელნიც მსახურობდენ ძველ რუსულ ჯარში დენიკინის, კოლჩაკის, ვრანგელის და სხვა რაზმებში და აგრეთვე საქართველოს, აღერბეიჯანის და სომხეთის ჯარებში. ოფიცერთა, მოხელეთა აუარებელმა რიცხვმა მთლიანად დაფარა ქუჩა კომენდანტის სამმართველოს წინ.

შრომის ბირჟაზე.

უკანასკნელ დღეს შრომის ბირჟაზე მწერება აუარებელი რიცხვი უმუშევართა ჩაწერილების რიცხვი რამოდენიმე ათასს აღემატება, უმთავრესათ არიან კანტორის და კანცელარიაში მოსამსახურენი, გამოურკვეველი ხელობის პირნი და მუშა ქალები. შრომის ბირჟაზე რეგისტრაციაში შეტანილი მუშები ძალიან ცოტაა.

ს.დ. ინტერნაციონალისტები.

2 მარტს, საღამოს 5 ს. სომხეთის ნაციონალურ საბჭოს შენობაში მოხდება რ. ს. დ. მ. პ. ინტერნაციონალისტების საერთო კრება, მიმდინარე მომენტის განხილვის და პარტიულ კომიტეტთან შეერთების შესახებ.

სასოფლო სამეურნეო სექცია.

სასოფლო სამეურნეო სექცია. შედგენილი თანახმად საქართველოს ტეხნიკურ ძალების საერთო კრების დადგენილებისა 27 თებერვალს, დაიყო ქვესექციებათ: აგრონომიულ, ტყის შემამუშავებელ, საზეითლო და სამნეოდ. 28 თებერვლის სხდომაზე არჩეულნი იქნენ ყველა ქვესექციების პრეზიდიუმები, რომელნიც შეადგენენ სექციის აღმასრულებელ ბიუროს (სოლოლაკი 4).

განკარგულება სტამბებისადმი.

სახელმწიფოს გამომცემლობამ განკარგულება გასცა სტამბებისადმი, რომ სახელმწიფო გამომცემლობის ნებადაურთველად არ მიიღონ არავითარი სამუშაო და ქაღალდი არ დახარჯონ.

ნარკომპროდი.

საქართველოს რევკომის დადგენილების თანახმად პროდკომი გადაკეთებულ უნდა იქნას ნარკომპროდათ.

ტკბილეულობის გამოცხობის აკრძალვა

ნარკომპროდმა აუკრძალა მეკონდიტერეებს ტკბილეულობის გამოცხობა, ფრანგული თეთრი პურის გამოცხობის ნება კი მისცა.

სიძვირესთან ბრძოლა.

ნარკომპროდმა განკარგულება გასცა, რომ მოვაჭრეებმა საქონელი და სანოვაგე გაყიდონ მხოლოდ იმ ფასებში, როგორიც არსებობდა თებერვლის 26.

პური საბჭოთა რუსეთიდან მოდის

ნარკომპროდმა მიიღო ცნობები გარდა უკვე მოსულ 40 ათას ფუთი პურის ფქვილისა ამ დღეებში მოვა კიდევ 110 ათასი ფუთი ფქვილი. ამასთანავე იღვირთება და გამოიგზავნება მოკლე ხანში 150 ათასი ფუთი ფქვილი.

პური მუშებსა და მოსამსახურეებს

მუშათა მაგიდა იუწყება, რომ სიების წარმოდგენა მარტის 1 საღამოს 5 საათამდე ეხებოდა მხოლოდ იმ დაწესებულებებს, რომლებიც მანამდინაც ღებულობდენ პურს და არა იმათ, როელიც ახლა შესდგა. უკანასკნელ დაწესებულებებმა უნდა წარმოადგინონ მოსამსახურეთა სია ოჯახის წევრთა სიის თანდართვით. ახალი დაწესებულებები ჯერ ჯგუფში არ შედიან და პურს დამოუკიდებლივ ღებულობენ.

სოციალური დახმარება

ქალაქის სოციალურ დახმარების განყოფილების გამგეთ დაინიშნა ნ ს. ათაბეგოვ ტუმასი.

ქალაქთა კავშირში

ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტი და მოსამსახურეთა მთელი შემადგენლობა, გარდა თავმჯდომარე ნ. ზ. ელიავასი, თავმჯდომარის ამხანაგის მ. რუსიასი, განყოფილებათა გამგეების: ჯაფარიძისა და არდიშვილისა, ყველანი თავიანთ ადგილებზე დარჩენ. ქალაქთა კავშირის საქმეთა კომისრად რეორგანიზაციამდე დაინიშნა ექ. ი. ხოჰოლავა; კომერციულ და სატყეო განყოფილებათა გამგეთ—ნ. ი. ფალიევი.

ტფილისის პოლიტეხნიკუმში

5 მარტიდან დაიწყება ლექციების კითხვა და პრაქტიკული მეცადინეობა. რევკომის მიერ პოლიტეხნიკუმის რწმუნებულად დანიშნულ ა. ბაბოვის თაოსნობით შესდგა სასწავლებელთა დაცვის ბიურო, რომელშიაც შედის პოლიტეხნიკუმის 170 სტუდენტი და „განჩაკი“ს პარტიის წევრნი. ბიუროს წევრებმა ბევრ ადგილას იარაღის საწყობები აღმოაჩინეს. მე-11 არმიის პოლიტოდელის წევრის ამხ. როზენფელდის თანდასწრებით 28 თებერვალს პოლიტეხნიკუმში შესდგა სტუდენტთა საერთო კრება. საპატიო თავმჯდომარედ არჩეულ იქმნენ: ამხ. ლენინი და ტროცკი. მიმდინარე მომენტზედ ამხ. როზენფელდის მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, სადაც გამოთქმულია ერთგულობა საბჭოთა მთავრობისა, წითელ არმიისა და მე-3-ე ინტერნაციონალისადმი. რეზოლიუცია ღნიშნავს, რომ პოლიტეხნიკუმის სტუდენტები მთელი თავისი ძალღონით ხელს შეუწყობენ საბჭოთა მთავრობის გამტკიცებას.

28 თებერვალს პოლიტეხნიკუმის სტუდენტთა საერთო კრებამ აირჩია დროებითი რევოლიუციონური კომიტეტი, 7 კაცის შემადგენლობით.

პროფკავშირები

მეღვინეთა კავშირში. მეღვინეთა პროფესიონალურ კავშირმა მიმართა ყველა ამიერ კავკასიაში მყოფ ღვინოზე მომუშავე წარმოებებს შემდეგი მოწოდებით: „ამხანაგებო! მეღვინეთა გაერთიანებულ პროფკავშირის მოქმედების აღსადგენად შესდგა კავშირის დროებითი მმართველობა შემდეგი შემადგენლობით: ამხ. აგადჟანოვი, გასინი, კაგალსკი, ებავინი, მაქსიმოვი, მამალაძე და ლეზვინი. პირველ სხდომაზე დროებითმა მმართველობამ დაადგინა: 1) მიღებულ იქმნას ყველა ზომები საერთო კრების საწრაფო მოწვევისათვის, კავშირის გამგეობის ასარჩევად. 2) წინადადება მიეცეს ყველა ამიერ კავკასიაში მყოფ კომიტეტებს ენერგიულად განაგრძონ თავიანთი მუშაობა ახალ გამგეობის არჩევამდის, 3) სამ წარმოებას, რომელშიაც ამიერ კავკასიის კომიტეტები, აღარ არსებობს, იქნენ არჩეულნი ეს უკანასკნელნი. 4) შაბათს მარტის 5-თვის იქნენ მოწვეულნი სათათბიროთ ამიერ კავკასიის კომიტეტების ყველა წევრები.

რუსთა ეროვნული საბჭო.

ტფილისის რევკომმა 28 თებერვლის სხდომაზე მოიწონა და ნება დართო გამოექვეყნებიათ შემდეგი რუსთა ეროვნულ საბჭოს ცნობა: „საქართველოში ნაციონალურ ტენდენციების ბატონობისა და ნაციონალობის მიხედვით რესპუბლიკის დემოკრატიის დალაგების დროს, საქართველოში მყოფმა რუს მოქალაქეებმა დაარსეს სხვა ერების წარმომადგენლებთან ერთად რუსთა ეროვნული საბჭო. დღეს კი, როდესაც ძალა-უფლება გადავიდა ახალ მთავრობის ხელში, რომელიც ქმნის მმართველობას ახალ საფუძველზე და იძლევა ერთათვის კანონის წინაშე თანასწორობის გარანტიას, საბჭოს არსებობას მომავალში მომავალში მნიშვნელობა აღარა აქვს: ამისდამიხედვით რუს საბჭომ და გამგეობამ 25 თებერვლის სხდომაზე დაადგინა: 1) საქართველოში არსებული რუსთა ეროვნული საბჭო დაიხუროს, 2) რუს საბჭოს მთელი ქონება აღწერილი გადაეცეს მომხმარებელ საზოგადოებათა მმართველობას, იმ ნივთების გამოკლებით, რომელიც გადაცემულია ტეხნიკუმის მოსაწყობად. 4) ყველა საანგარიშო საბუთები გადაეცეს სალიკვიდაციო კომისიას, რომელშიაც შედიან ი. ა. გლოტოვი, მ. პ. ნოლნიკოვი და ოლ. უტკინი.

ელექტრონის სადგურის დაცვა.

ტფილისის რევკომმა დაავალა ამხ. კალაძეს შეადგინოს სამოქალაქო რაზმი ელექტრონის სადგურების, წყალსადენის, რკინის გზის მთავარ სახელოსნოების და მათი საწყობების დასაცავად.

ამხ. კარტოზიას ბაასი გრუზკავროსტის თანამშრომელთან.

რევკომის მიერ დანიშნული იუსტიციის დროებითი კომისარი ამხ. კარტოზიამ გრუზკავროსტის თანამშრომელთან ბაასის დროს სთქვა: „ყოფილ მენშევიკურ მთავრობის მიერ გატანილია აუარებელ ღირებულებათა რაოდენობა, რომელნიც შეადგენდა სახალხო ქონებას: 5 ფუთამდი ოქრო და ვერცხლი, რომელიც იყო სასამართლოში, როგორც ნივთიერი დამტკიცებანი ზოგიერთ საქმეებისა, ხალიჩები და სხვა ქონება. გაზიდულია აგრეთვე საინვენტარო წიგნები, რაც შეუძლებელათ ხდის იმის გამორკვევას, თუ რამდენი იყო საერთოთ. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ზოგიერთ ნივთების გატაცებასაც, მაგალითად, საპყრობილეებიდან, მთავრობის შეცვლის უცბათ ხანში.

მიღებულია ზომები გატაცებულ ქონების მოსანახავათ და დამნაშავეების დასასჯელად.

პირველსავე დღეს მთავრობის გამოცვლის შემდეგ 26 თებერვალს, მოწვეულ იქნა საერთო კრება იუსტიციის სამინისტროს ყოფილ მოსამსახურეების, რომელნიც მე მოვიხმე თანამშრომლებლად და აუხსენი პრინციპები საბჭოთა წესრიგის და საბჭოთა იუსტიციისა ყველა ადგილზე დარჩენილი მოსამსახურეებმა განაცხადეს თავის სასამართლოს დაწესებულებების რეორგანიზაციაში მონაწილეობის სურვილი ახალ უფლება წესრიგის შექმნაში. იუსტიციის არსებული აპარატი არ იქნება დანგრეული, არამედ იქნება შეთანხმებული საბჭოთა იუსტიციის მიზნებთან. ჩემ მიერ უკვე შედგენილია ორი კომისია: ერთი ჩემი თავმჯდომარეობით იუსტიციის რეორგანიზაციის გეგმის გამოსამუშავებლად; მეორე 5 კაცისაგან (2 ტფილისის რევკომიდან და 3 საპყრობილეს საქმის მცოდნე სპეციალისტებისაგან) აღწერის მოსახდენათ და საპყრობილეთა ქონების მასალებათ. სამხედრო ციხე, როგორც ყველაზე პატარა დღესვე იქნება მოყვანილი სრულ წესრიგში. საპყრობილეთა უფროსებათ დროებით დანიშნულნი არიან: სამხედროსი—ამხ. გ. ასათიანი და მეტეხის ამხ. მალალაშვილი. პირველ რიგში შედგენილი იქნება რევოლიუციონური ტრიბუნალი.

სამუსიკო ქონების დაცვა.

რევკომის თავმჯდომარის ბრძანებით დროებით კომისრათ სამუსიკო ქონების და აგრეთვე ყველა სამუსიკო ინსტრუმენტების დასაცავათ დანიშნულია ილიკო აბაშიძე.

მენშევიკების კრება.

4 მარტს ნაშუადღევის 4 საათზე ყოფილ ქალაქის საბჭოს სხდომის დარბაზში დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს. დ. მენშევიკურ ფრაქციის და ყველა მენშევიკების კრება.

რუსსოვეტი.

საქართველოს რუსთა ეროვნულ საბჭოს „უპრავის“ დადგენილებით ხსენებული საბჭო გაუქმდა და შესდგა სალიკვიდაციო კომისია, სარევიზიო კომისიის და „უპრავის“ შემადგენლობით.

განცხადება.

მე-73 პოლკის ზავხოზი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მან დაკარგა თითბრის ლუქის ბეჭედი პოლკის მოლარის ღერბით. ხსენებული ბეჭედი გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

საბჭოთა რუსეთში

გრუზკავროსტას ბიულეტენი.

სათბობი მასალის ფრონტი.

მოსკოვი. 2 მარტ. (რადიო) მურომში (ვლადიმირის გუბ.) ფაბრიკებსა და ქარხნებში რომ მუშაობა არ შემწყდარიყო ისპოლკომმა დაადგინა, სათბობი მასალის დამუშავებაზე მომუშავეთ მისცენ 3 ათასი არშინი მანუფაქტურა.

ვასაგებია და დაუყონებლივ ხორციელდება არა მარტო მრეწველობის მხრივ განვითარებულ ქვეყნებში, არა მარტო ისეთი სოციალური საფუძვლით, როგორიცაა პროლეტარიატი, ისეთი საფუძვლითაც, როგორიცაა გლეხობა. გაიმარჯვა გლეხთა საბჭოების იდეამ. გლეხების ხელში ძალა-უფლება უზრუნველყოფილია, მათ ხელშია მიწა, საწარმოო საშუალებანი. მეგობრული დამოკიდებულება გლეხურ საბჭოთა რესპუბლიკებისა რუსეთის სოციალისტურ რესპუბლიკასთან უკვე განმტკიცებულია ჩვენი პოლიტიკის პრაქტიკული შედეგებით. ჩვენ აგრეთვე უნდა მივესალმოთ ხელშეკრულებას, რომელიც ახლო მომავალში დაიდება სპარსეთთან, რომელთან მეგობრული განწყობილება უზრუნველყოფილია ძირითადი ინტერესების იგივეობის მეოხებით ყველა ხალხისა, რომელნიც იტანჯებიან იმპერიალიზმის მიერ შევიწროებისაგან.

აგრეთვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეგობრული დამოკიდებულება უფრო და უფრო უზრუნველყოფილი ხდება ავღანისტანთან და მეტადრე ოსმალეთთან. უკანასკნელი სახელმწიფოს მიმართ ანტანტის ქვეყნებმა მოიმოქმედეს ყველაფერი იმისათვის, რომ შეუძლებელი გამხდარიყო რამოდენიმედ ნორმალური დამოკიდებულება ოსმალეთსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის. და ეს გარემოება, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებასთან ერთად, უფრო და უფრო უზრუნველყოფს იმას, რომ, მიუხედავათ ყველა წინააღმდეგობათა, მიუხედავათ ინტრიგებისა, მიუხედავათ რუსეთის გარშემო ბურჟუაზიულ ქვეყნების არსებობისა, კავშირი და მეგობრული დამოკიდებულობა შენახულია, ვინაიდან უმთავრესი ფაქტი პოლიტიკაში არის იმპერიალისტური ძალადობა იმ ხალხთა მიმართ, რომელთაც არ ჰქონდათ ბედნიერება გამარჯვებულთა რიცხვში მოხვდარიყვნენ. და წარმატება, რომელსაც ამ მხრივ ჩვენ მივახწიეთ დასავლეთშიაც ჩვენზე უფრო გაევროპიელებულ სახელმწიფოთა მიმართ გვიჩვენებს, რომ ჩვენი პოლიტიკის ეხლანდელი საფუძვლები სწორია და ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესება მკვიდრ ნიადაგზე დგას. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენის მხრივ მშვიდობიანობის მოყვარეობის პოლიტიკის გაგრძელებით, დათმობით (ჩვენ უნდა დავთმოთ, რომ ომს ავცდინოთ), მიუხედავათ იმპერიალისტების ყველა ინტრიგების და განზრახვებისა, რომელთაც, იგულისხმება, შეუძლიათ ყოველთვის წაგვკიდონ ამა თუ იმ სახელმწიფოს, მიუხედავათ ყველა ამისა, ძირითადი ხაზი პოლიტიკისას, გამომდინარე იმპერიალისტურ პოლიტიკის თვით არსებიდან, გააქვს თავი და უფრო იძულებულს ხდის მჭიდროდ შეკავშირდეს რ. ს. ფ. ს. რ.

ეს კი იმის საწინდარია, რომ ჩვენ შეგვეძლება სამეურნეო აღმშენებლობის საქმეს საფუძვლიანად მოვკიდოთ ხელი, შეგვეძლება ვიმუშავოთ დამშვიდებით, მტკიცედ და რწმენით უფრო ხანგრძლივ დროს. აგრეთვე უნდა ვთქვა, ახლა სწარმოებს მოლაპარაკება ინგლისთან სავაჭრო ხელშეკრულების დადებაზე. სამწუხაროდ, ეს მოლაპარაკება ჭიანურდება უფრო მეტად, ვინემ ჩვენ გვსურს, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ არ მიგვიძღვის არავითარი დანაშაული. ჯერ კიდევ ივლისში, როდესაც ინგლისის მთავრობამ, საბჭოთა ჯარების უდიდესი გამარჯვების მომენტში, ოფიციალურად გამოგვიგზავნა შეთანხმების ტექსტი, რომელიც უზრუნველყოფდა სავაჭრო შეთანხმების შესაძლებლობას, ჩვენ სრული თანხმობა განუცხადეთ, მაგრამ მას შემდგომ ამ საქმეს ხელი შეუშალა მიმდინარეობათა ბრძოლამ ინგლისის მთავრობასა და სახელმწიფოში. ჩვენ ვხედავთ ინგლისის მთავრობის რყევას, მუქარას, სავსებით გაწყვიტონ ჩვენთან დამოკიდებულება, პეტროგრადზე გაგზავნონ დაუყონებლივ ფლოტი. ჩვენ ამას ვხედავდით, მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვხედავდით, როგორ მთელი ინგლისი ამ მუქარის საპასუხოდ მოიფინა მოქმედების საბჭოებით. ჩვენ ვხედავდით, თუ როგორ ოპორტუნისტულ განწყობილების უფრო უკიდურესი [illegible], მათი მეთაურები, მუშების ზეგავლენის ძალით, იძულებული იქნენ დამდგარიყვნენ ამ გზაზე სრულიად არა კონსტიტუციურ პოლიტიკისა, რომელსაც ისინი თვითონ კიცხავდენ გუშინ. აღმოჩნდა, რომ მშრომელთა მასსების ზედგავლენის და შეგნების ძალით, წინააღმდეგ ყველა მენშევიკურ ცრუმორწმუნეობათა, რომელიც აქამდი გაბატონებული იყო ინგლისის პროფესიონალურ მოძრაობაში, იმდენად გაიკაფა გზა, რომ იმპერიალისტების მეომარ პოლიტიკას ხმალი დააყრევინეს; და ეხლა, განვაგრძობთ რა სამშვიდობო პოლიტიკას, ჩვენ ვდგევართ ივლისის პროექტის ნიადაგზე, რომლითაც მოგვმართა ინგლისის მთავრობამ. ჩვენ მზადა ვართ დაუყონებლივ ხელი მოვაწეროთ სავაჭრო შეთანხმებას; და ერთად-ერთი დამნაშავეა ის მიმდინარეობანი ინგლისის მმართველ წრეებში, რომელთაც სურთ ჩაშალონ სავაჭრო შეთანხმება, რომელთაც უნდათ, წინააღმდეგ არა მარტო მუშების უმრავლესობისა, არამედ ინგლისის ბურჟუაზიის უმრავლესობისაც, ერთხელ კიდევ ჰქონდეთ გაშლილი ხელები საბჭოთა რუსეთზე დასაცემად. ეს მათი საქმეა, რაც უფრო დიდხანს გასტანს ასეთი პოლიტიკა ინგლისის ზოგიერთ გავლენიან წრეებში, ფინანსიურ კაპიტალის და იმპერიალისტების წრეებში, მით უფრო ამწვავებენ ანტანტის ფინანსიურ მდგომარეობას, მით უფრო გვაშორებენ ნახევარ შეთანხმებას, რომელიც ეხლა საჭიროა ბურჟუაზიულ ინგლისსა და საბჭოთა რესპუბლიკას შორის. ამით ისინი უფრო უახლოვდებიან იმას, რომ იძულებულნი იქნებიან მიიღონ არა სანახევრო არამედ სრული შეთანხმება.

ამხანაგებო, მე უნდა ვთქვა, რომ ინგლისთან სავაჭრო შეთანხმებასთან დაკავშირებით სდგას საკითხი, რომელიც არის უდიდესი ჩვენს ეკონომიურ პოლიტიკაში, ეს არის კონცესიების საკითხი. მნიშვნელოვან კანონთა რიცხვს, რომელიც მიღებული იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ, ეკუთვნის კანონი მიმდინარე წლის 33 ნოემბრისა,—კონცესიების შესახებ. თქვენ ყველა გაცნობილი ხართ, ალბათ, ამ კანონის ტექსტს. თქვენ ყველამ იცით, რომ ჩვენ ეხლა გამოვაქვეყნეთ დამატებითი მასალები, რომლებიც მისცემდნენ საბჭოთა ყრილობის ყველა წევრებს მეტ ცნობებს ამ საკითხზე. ჩვენ გამოვაქვეყნეთ ამ დეკრეტის ტექსტის არა მარტო ცალკე ბროშურები, არამედ ნუსხაც კონცესიების უმთავრეს ობიექტებისა, სახელდობრ სასურსათო, სატყეო და სამთო. ჩვენ მივიღეთ ზომები, რათა ამ კანონის, დეკრეტის გამოქვეყნებამ რაც შეიძლება ჩქარა მიაღწიოს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში; და ჩვენ დაიმედებულნი ვართ, რომ ჩვენს პოლიტიკას კონცესიების დარგში პრაქტიკულის მხრითაც ექნება წარმატება. ჩვენ არ ვმალავთ საფრთხეს, რომელიც დაკავშირებულია ამ პოლიტიკასთან—სანამ საბჭოთა რესპუბლიკა მეტად ჩამორჩენილ ქვეყანაში დარჩება მარტოდ მარტო, მანამდე ფიქრი სრულ ეკონომიურ დამოუკიდებლობაზე იქნებოდა სავსებით სასაცილო ფანტაზიორობა და უტოპიზმი. იგულისხმება, რომ სანამ ასეთი ძირითადი წინააღმდეგობანი არსებობენ, არის საფრთხეც. საფრთხეს უნდა გავექცეთ. უნდა გვქონდეს უნარი—საფრთხე ნაკლებ მნიშვნელოვანი და სისხლიანი.

ამას წინად ჩვენ შეგვატყობინეს, რომ არზამასის მაზრის საბჭოთა ყრილობაზე ნიჟეგოროდის გუბერნიაში, ერთი უპარტიო გლეხს განუცხადებია: „ამხ. ჩვენ თქვენ გზავნით სრულიათ რუსეთის ყრილობაზე და ვაცხადებთ, რომ, ჩვენ, გლეხები, მზადა ვართ კიდევ სამი წელიწადი ვიშიმშილოთ, ვითმინოთ სიცივე, ვიხადოთ ბეგარა, მხოლოდ დედა-რუსეთს კონცესიებზე ნუ გაყიდიან“. მე დიდად მოხარული ვარ მივესალმო ამგვარ განწყობილებათ, რომელნიც ძალიან არიან გავრცელებულნი. მე ვფიქრობ, რომ განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ უპარტიო მშრომელ მასსებში, არა მარტო მუშებში, გლეხებშიაც სამი წლის განმავლობაში მომწიფდა ის პოლიტიკური და სამეურნეო გამოცდილება, რომელიც საშვალებას გვაძლევს და იძულებულს გვხდის ყველაზე მაღლა ვაფასოთ კაპიტალისტებისაგან განთავისუფლება, რომელიც გვაიძულებს განსაკუთრებულის ეჭვით მოვეპყრათ ყველა ნაბიჯს, რომელსაც მოაქვს შესაძლებელი ახალი საფრთხენი, კაპიტალიზმის აღდგენის მხრივ. უეჭვოა, ამგვარ განცხადებებს ვისმენთ დიდის ყურადღებით, მაგრამ ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ რუსეთის მიყიდვაზე კაპიტალისტებისთვის ლაპარაკიც არ შეიძლება, თითოეული ხელშეკრულებას აქვს განსაზღვრული ვადა, თან ახლავს გარანტიები, დაკვირვებით განსჯილნი, რომელნიც კიდევ იქნებიან განხილულნი თქვენთან ერთად ამ სიეზდზე და სხვა შემდეგი თათბირებზე, ეს დროებითი ხელშეკრულობანი არ გვანან გაყიდვას. მათ არა აქვთ რაიმე საერთო რუსეთის გაყიდვასთან, მაგრამ ისინი შეიცავენ ერთგვარ ეკონომიურ დათმობას კაპიტალისტებისადმი, რომ ამ ეკონომიურ დათმობის გზით ჩვენ საშვალება მოგვეცეს რაც შეიძლება ჩქარა შევიძინოთ ის მანქანები და ორთქმავალები, ურომლისოთ ჩვენი მეურნეობის აღდგენას ვერ მოვასერხებთ. ჩვენ უფლება არა გვაქვს უარვყოთ ისეთი რამე, რაც ხელს შეგვიწყობს გავაუმჯობესოთ მუშების და გლეხების მდგომარეობა.

(გაგრძელება ხვალ).

[illegible] მუშაობენ.

მოსკოვი. 2 მარტ. (რადიო) მურმანის რკინის გზის მიმართულებით იანვარში მოზიდეს 18,000 ფუთი შეშა ე. ი. 150 % იმისა, რაც განზრახული იყო მოეზიდათ.

მრეწველობა ძლიერდება.

მოსკოვი. 2 მარტ. (რადიო) ბუნკოვის საქსოვ ქარხანაში ნოემბერში დაამზადეს 900 ნაჭერი, დეკემბერში 1000 და იანვარში 900 ნაჭერი მანუფაქტურა. მრეწველობა 200 % არის გაძლიერებული.

პავლოვსკის ქარხანაში.

მოსკოვი 2 მარტი. (რადიო) პერმის გუბერნიაში პავლოვსკის ქარხანა, სადაც მზადდება ცელები, კარგად მუშაობს. 1920 წ. დეკემბერში დაამზადეს 160 ცელი.

შრომის გმირები.

მოსკოვი, 2 მარტი. (რადიო) ვლადიმირის გუბერნიაში ზოლოტკოვის ჰურჭლეულობის ქარხანაში მუშებმა თავის ზურგით მოიტანეს 500 ფუთი შეშა და ქარხანა აამუშავეს.

მჭედლების და ზეინკლების მობილიზაცია.

მოსკოვი. 2 მარტი. (რადიო) პუგაჩევის უკომპარტმა მჭედლებისა და ზეინკლების მობილიზაცია გამოაცხადა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შესაკეთებლად.

პეტერბურგი ემზადება.

მოსკოვი. 2 მარტი. (რადიო) პეტერბურგის შრომისა და თავდაცვის საბჭომ გამოაცხადა არავის არა აქვს უფლება მუშებს ჩამოართვას მიწა, რომელიც იმათ შარშან დაამუშავეს. საბოსტნე ადგილების გადაცემა აკრძალულია.

შიმშილობასთან ბრძოლა.

მოსკოვი. 2 3. (რადიო) სოფელ ნიკოლსკის (სარატოვის გუბ.) დაადგინეს ჩამოართვან იმათ ხორბალი, რომელიც მალავს დათესვის ფონდის სასარგებლოდ. ვინც არ გამოაჩენს იმათ მთელი ქონება ჩამოერთმევა და სოფლიდან გაძევებულ იქნება. აღმოაჩინეს 54 ორმო და ნახეს 1200 ფუთი პურის ფქვილი.

ხუცების ყუთი.

მოსკოვი. 2 მარტი. სოფელ კორჩევში (რჟევის მაზრა) პრეობრაჟენის ეკლესიაში ნახეს 17 სკივრი აბრეშუმეულობით, ჰურჭლეულობით და სხვა საქონლით. ყუთში იყო აგრეთვე ოქროსა და ბრილიანტის ნივთებიც

[illegible]

მოსკოვი. 2 მარტი. (რადიო) სმოლენსკის გუბერნიის 11 მაზრაში თავის 91 პრიც. მოაგროვეს, წონით მილიონ ფუთზე მეტი.

მრეწველობა ეწყობა.

მოსკოვი. 2 მარტი. (რადიო) ბოგოროდში კარმიცის პირველ ქარხანაში დეკემბრის თვეში დაამუშავეს 848 ფუთი ფაბრიკატი, იანვარში 4398 ათასი მანუფაქტურა. მეტი დაამუშავეს 191 პროც.

ზედმეტად მუშაობენ.

მოსკოვი, 2 მარტი. (რადიო) ეკატერინბურგის გუბერნიაში წისქვილებმა 1920 წელს დაფქვეს 10 მილიონ ფუთი ხორბალი მეტი, ვიდრე განზრახული იყო.

სარატოვი. 28 მარტი. (რადიო) თათრის სოფელში 54 მაჰმადიანმა გაათავა წერა-კითხვის სკოლა იმათ იციან უკვე რუსული წერა კითხვა.

პარტიაში

ყაზანი, 28 მარტი. (რადიო) თებერვლის 28 ს გაიხსნა რუსეთის კ. პარტიის საოლქო ყრილობა. დაესწრო 200 დელეგატი. აირჩიეს პრეზიდიუმში ანხსარდ ბალიევი, საფაროვი, სლუცკი და სხვები.

პროლეტარული სოლიდარობა.

მოსკოვი, 28 მარტი. (რადიო) სახელმწიფო თუთუნის ქარხნის მუშებმა რიცხვით 560 კაცმა იმუშავეს კვირას და დამუშავებული თუთუნი დონბასისა და ურალის მუშებს გაუგზავნეს.

უმაღლეს სასწავლებელში.

მოსკოვი, 28 მარტი. (რადიო) წელს მოსკოვის უნივერსიტეტს დიდძალი ხალხი მოაწყდა. მეცადინეობის დროს ჰერცენის ქუჩა ხალხით გაივსო, ყველას წიგნები და რვეულები ეჭირათ ხელში. კომუნისტ პროფესორების უნივერსიტეტი და [illegible], მაგალითად ბუხარინის [illegible]. ბუხარინი ნაცვლად [illegible] ლექციებს ორ საათს კითხულობს. სტუდენტების კომიაჩეიკები ძლიან მრავლდება. ამ წლის დასაწყისში კომიაჩეიკებში ითვლებოდა 1500 კაცი, ახლა გაცილებით მეტია. კომიაჩეიკების მიტინგები დახურულ დარბაზებში ვერ ეტევა.

სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეკეთება.

მოსკოვი. 28 მარტი. (რადიო) მოსკოვის სამაზრო საბჭოს ისპოლკომმა წინადადება მისცა ვოლოსტებს მოელაპარაკოს ხელოსნების დაზიანებულ ინვენტარის შეკეთების შესახებ, თანახმად ვოლპოკავკომის გეგმისა.

საზღვარ-გარეთ

რუმინეთთან მოლაპარაკება.

ოდესა 27 მარტი. რუმინეთ-რუსეთის მოლაპარაკება უკანასკნელ ხანებში კარგად მიმდინარეობს.

არ უნდათ.

მოსკოვი. 28 მარტი. ინგლისის მაღაროების მეპატრონეთ არ უნდათ დააკმაყოფილონ მაღაროებში მომუშავეთა მოთხოვნა ძირითად ჯამაგირის ხელშეუხებლად დაცვის შესახებ.

პოლონეთის გლეხები პანების წინააღმდეგ.

მოსკოვი. 1 მარტი. პოლონეთის მუშებმა 14 დღით საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს.

იტალიელი მეზღვაურები საბჭოთა რუსეთის შესახებ.

მოსკოვი. 1 მარტი. იტალიის მეზღვაურები, რომლებიც საბჭოთა რუსეთიდან იტალიას დაბრუნდენ,—ამბობენ, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობას მხარს უჭერს შეგნებული მუშები და გლეხებიო.

ბოლშევიკების დევნა იაპონიაში.

მოსკოვი, 2 მარტი. იაპონიის მთავრობა ჩხრეკს და აპატიმრებს იაპონიის მუშებს. აგრეთვე შლის მუშათა ორგანიზაციებს და აბრალებს მათ ბოლშევიკობას.

გერმანელთა შავი ძალა.

მოსკოვი, 1 მარტი. ბერლინში მემამულეთა შვილებმა პაგრომი მოახდინეს. მრავალი მოკლულია, რამდენიმე ასი ებრაელი ნაცემია.

თავ დი საპეგა ბუქარესტში.

პარიზი 1 მარტი. (რადიო). პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტი თავადი საპეგა ბუქარესტს წავიდა გენერალ მაშკევიჩის თანხლებით.

გერმანიის რეაქციის ცენტრი უნივერსიტეტებში.

ნაუენი. 1 მარტი. (რადიო). დასაწყისი მიღებული არაა. კვაკერები აძლევენ სურსათს 17 ათას სტუდენტს. დახმარებას აძლევენ გაჭირვებულ მცხოვრებლებს და არა მონარქისტ იუნკრებს, რისთვისაც ამ მოძრაობას დემოკრატიული ხასიათი აქვს. კვაკერები თუმცა არაფერს ქადაგებენ, მაგრამ მათ დახმარებას სთვლიან მილიტარიზმისათვის ხელის შეწყობათ. გერმანიაში რეაქციის ცენტრი უნივერსიტეტებში აღმოჩნდა. დიდი დრო იქნება საჭირო ძველი სულის დამარცხებისათვის (შემდეგ დამახინჯებულია).

კრასინის განცხადება ბერლინში.

ნაუენი 1 მარტი. (რადიო). რუსეთის წარმომადგენელმა ინგლისის მთავრობასთან, რომელმაც გაატარა ერთი კვირა ბერლინში, გააკეთა ორი საგულისხმიერო განცხადება: „რუსეთს, სთქვა მან, მოძულდა ომი და ის არ დაიწყებს მას, თუ არა ძალდატანებით". ხანგრძლივ ლაპარაკის შემდეგ, შეეხო რა ამერიკას, კრასინმა განაცხადა, „საბჭოთა მთავრობა არ მისცემს არავითარ ავანს გარდინგის მთავრობას, ჩვენ დავინახავთ, როგორი მდგომარეობა შეიქნება.

ქრონიკა

◆ **ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხანაში.** ქარხანაში პაპიროსების დამზადება ნორმალურად სწარმოებს. ქარხნის პატრონები თავიანთ ადგილზე არიან. ყველა მუშაობს და შინაგან წესრიგს განაგებს მუშათა საბჭო. ნედლი მასალა ქარხანაში საკმარისია.

◆ **ტრამვაი.** ქალაქში მოძრაობს 25 მოტორიანი და სამი მისაბამი ვაგონი ბილეთის ფასი წინანდელია.

◆ **სახელმწიფო ღვინით ვაჭრობა.** ქუთაისში წასულ სახელმწიფო სარდაფების გამგის მაგიერ დანიშნულია სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ამხ. ა. ეგოროვი.

◆ **გზათა მიმოსვლის საოლქო სამმართველოში.** გზათა მიმოსვლის საოლქო სამმართველოს უფროსის თანამდებობის აღმასრულებლათ რესპუბლიკის რევკომის მიერ დანიშნულია ინჟინერი გ. ჩხეიძე.

◆ **განათლების კომისარიატში.** განათლების დროებით გამგეობაში დანიშნულია კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: მიხა ოკუჯავა, ალექსანდრე წერეთელი და ნიკო მგელაძე.

◆ **სენატი.** განზრახულია სენატი გადააკეთონ უმაღლეს სასამართლოთ.

◆ **ექიმების რეგისტრაცია.** 1 მარტისთვის დანიშნული ექიმთა რეგისტრაცია დროებით გადადებულია.

◆ **ხალხის სალამი სომხეთიდან.** საქართველოს სამპრეფრევკომის ამხ. ორახელაშვილის სახელზე სომხეთის სამპრეფრევკომის ასაკანაზ მრავიანციდან მიღებულია შემდეგი დეპეშა: „სოციალურ მოღალატე მენშევიკების უღლიდან განთავისუფლებულ გლეხთა და მუშათა ძმურ საქართველოს უძღვნის კომუნისტურ სალამს საბჭოთა სომხეთიდან. მენშევიკები წინააღმდეგ გმირულმა ომმა თფილისის მიდამოებში და მათზე ბრწყინვალე გამარჯვებამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია სომხეთის მუშათა და გლეხთა გულში. ამიერ-კავკასიის ყოფილ კონტ-რევოლიუციონურ კერის, ქალაქ თფილისის აღება ფრთებს ასხამს და უათკეცებს საბჭოთა სომხეთის სამხედრო ძალებს და იძლევა სრულ იმედს, რომ მალე მოეღება ბოლო მშრომელ სომხეთის მტრებს დაშნაკელ ავანტიურისტებს. მათ ჩასცეს გაწამებულ სომხეთის ხალხს მძლავრი მუშტი, რადგან ისარგებლეს წითელ რაზმის ერევნიდან რევოლიუციონურ ფრონტზე გაგზავნით, მაგრამ მუშათა და გლეხთა სომხეთი ჯერ ისევ ცოცხალია და გრძნობს საბჭოთა საქართველოს და აზერბეიჯანის რევოლიუციონურ სუნთქვას. საბჭოთა უკანასკნელი გამანადგურებელი სომხეთი ლახვარს დასცემს მატყუარა ავანტიურისტ დაშნაკელებს. გაუმარჯოს საბჭოთა ქვეყნებს, აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს ძმურ რევოლიუციონურ კავშირს. გაუმარჯოს, ჩვენ საერთო მოკავშირეს, საბჭოთა რუსეთს. გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს".

სარედაქციო კოლეგია

ბრძანება ლაშქრისადმი

ბრძანება ტფილისის მიმართულების ჯარებისადმი №15/29. ტფილისი, თებერვლის 25-ს, 1921 წლ.

ამა რიცხვს ჩემდამი რწმუნებულმა ჯარმა 12 საათს 15 წუთს დაიკავა ქალაქი ტფილისი. წითელ არმიელების, კამანდირების და კომისრების გმირული მოქმედება მძიმე და უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვებით დაგვირგვინდა, ქალაქი ტფილისი—ბურჟუაზიის უკანასკნელი სიმაგრე დაეცა და საქართველო გამოცხადებულია საბჭოთა რესპუბლიკათ. საუკუნო ხსენება დახოცილ მეომრებს და დიდება ცოცხალ მეომრებს, რომლებმაც გმირული შეტევით თებერვლის 24-ს, მძიმე და უთანასწორო ბრძოლაში სძლიეს მტრის წინააღმდეგობა და აიღეს ქალაქი ტფილისი.

ტფილისის მიმართულების ჯარის ჯგუფის უფროსი ველიკანოვი.
სამხედრო კომისარი რატნეკი.

ბრძანება ქალ. თფილისის და მისი რაიონის გარნიზონისადმი

ბიბლიოთეკა

თებერვლის 25-ს 1921 წ.

§ 1) ქალაქ თფილისის და მისი რაიონის გარნიზონის უფროსად დაინიშნა მე-20 დივიზიის უფროსი ამხ. ველიკანოვი, რომელსაც ებრძანა მიიღოს სასტიკი ზომები ქალაქში ძარცვა-გლეჯის და სახაზინო ქონების დატაცების წინააღმდეგ. გიბრძანებთ, ყველა, ვინც შემჩნეული იქნება ძალდატანებაში და გაძარცვაში, გადასცეთ სამხედრო სარევოლიუციო ტრიბუნალს.

§ 2) ქალაქ თფილისი და მისი მიდამოები გამოცხადებულია სამხედრო წესებზე. ქუჩებში სიარული ნება დართულია ღამის 10 საათამდის. სიარული ნაჩვენებ დროის შემდეგ ნებადართულია მხოლოდ საგანგებო ნებართვით, რომელსაც იძლევა ქალაქის კომენდანტი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სამხედრო და საზღვაო საქმეების სახალხო კომისარი შ. ელიავა.

მე-2 რაზმის უფროსი გეკკერი.

ბრძანება ქალაქ თფილისისა და მისი რაიონის გარნიზონისადმი

თებერვლის 26, 1921 წლ.

§ 1) წინადადებას ვაძლევ ყველა მოქალაქეს, ვისაც აქვს სასროლი იარაღი, დაუყონებლივ მივიდეს სარეგისტრაციოთ ქალაქის კომენდანტთან. რეგისტრაციის ვადა სამი დღეა, დღიდან ამ ბრძანების გამოქვეყნებისა.

§) 2) ყველა, უკლებლივ, ვისაც აღმოუჩნდება იარაღი, რომელიც არ იქნება ვადის გასვლის შემდეგ რეგისტრაციაში გატარებული, ჩაითვლებიან კონტრ-რევოლიუციონერებათ და მიეცემიან რევოენტრიბუნალის სამართალს.

§) 3) როგორც კერძო, ისე ყოფილი მენშევიკური მთავრობის სამგზავრო და საბარგო ავტომობილების, და მოტოციკლეტების და აგრეთვე ყოველგვარი პოკრიშკების და კამერების პატრონები ვალდებულნი არიან 24 საათის განმავლობაში, ამ ბრძანების გამოქვეყნების მომენტიდან, წერილობით აცნობონ ქალაქის კომენდანტს, სად და ვის რა აქვს. თებერვლის 27 10 საათზე ქალაქში და მის რაიონში მყოფი ყველა ავტომობილები უნდა მოვიდნენ არტილერიის მოედანზე, სადაც ქალაქის კომენდანტი № დივიზიის ამხ. ხალეცკისთან ერთად აიღებენ ანგარიშზე შემდეგში გასანაწილებლად და მისცემენ სათანადო მანდატებს, ურომლისოდაც ქალაქში ავტომობილების სიარული აკრძალულია.

§ 4 უმანდატოთ ქალაქში გამოსული ან აღმოჩენილი ანგარიშზე აუღებელი ავტომობილი სასწრაფოთ დაკავებულ იქნეს და გადაეგზავნოს ქალაქის კომენდანტს, რომ მან მათი პატრონი მისცეს სასტიკ პასუხისგებაში დახვრეტით დასჯამდე.

გარნიზონის უფროსი ველიკანოვი.

ვაენკომ. რატნეკ. ქ. თბილისის და მისი რაიონის კომენდანტი—აბაშიძე.

1921 წლის 4 მარტს მე-4 რაიონის კომპარტია

იწვევს საერთო კრებას

დღის 4 საათზე ოლღას ქუჩაზე № 29 სავალდებულოა დაესწროს ყველა ამხანაგები.

განცხადება

3 მარტს 6 საათზე ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ მე- რაიონის ბიუროს შენობაში შესდგება საერთო

კრება კომუნისტ-მელითონეთა.

ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

ხელზე მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა აცხადებს თავის წევრების საყურადღებოთ, რომ იგი იწვევს

საზოგადო კრებას

კავშირის ბინაზედ, [illegible] 4 მარტს, დღის 10 საათზე.

თავმჯდომარე: დ. [illegible]. მდივანი მ. [illegible].

ხუთშაბათს 3 მარტს დღის 2 საათზე „მუშათა სასახლის (ყოფილი შენობა ძიძიონისა) შენობაში დანიშნულია

საერთო კრება ყველა წევრების

პროფესიონალურ კავშირის „ნემსით მომუშავეთა". შესავალი ბარიატინის ქუჩიდან.

ორგანიზაციონური ჯგუფი.

განცხადება

მე-2 რაიონის ბიურო 3 მარტს მართავს მიტინგს სახალხო სახლის შენობაში, კიროჩნი ქუჩაზე პარტიის წევრთათვის და თანამგრძნობთათვის, შემდეგ თემაზე:

„მიმდინარე მომენტი"

მომხსენებელი ამხ. ვირაბი. კამათი დაშვებულ იქნება. დასაწყისი მიტინგის სრულ 6 საათზე ახალი დროით.

მე 2 რაიონის ბიურო.